

სს „ნატერფალი“ (საინდეტიფიკაციო # 200002736)

განმარტებითი შენიშვნები 2019 წლის ფინანსური ანგარიშგების შესახებ

1. ზოგადი ინფორმაცია

1.1. შპს „ნატერფალი“ (შემდგომში „საზოგადოება“) დაფუძნებულია „მეწარმეთა შესახებ“ კანონის შესაბამისად და რეგისტრირებულია ქ.თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონის სასამართლოს მიერ 1996წ. 08 ოქტომბერს, რეგისტრაციის #1/5-20, საიდენტიფიკაციო ნომრით: 200002736

1.2. საზოგადოების საქმიანობის საგანი:

- საზოგადოება განახორციელებს საკუთარი ინტერესების დაკმაყოფილებისაკენ მიმართულ საქმიანობას, რომელიც მოგების მისაღებად არის გამიზნული;
- საქმიანობის ძირითადი საგანია უძრავი ქონების იჯარა;
- საზოგადოება უფლებამოსილია განახორციელოს ნებისმიერი საქმიანობა, რაც პირადაპირ ან არაპირდაპირ ემსახურება მის მიზნებსა და ინტერესებს, აკრძალული არ არის საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით;
- ყველა ის საქმიანობა, რომელიც საჭიროებს სპეციალურ ნებართვას, განხორციელდება მხოლოდ შესაბამისი ლიცენზიის ალების შემდეგ;

1.3. საზოგადოება არის მესამე კატეგორიის საწარმო.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა:

2.1. ორგანიზაციის მიერ 2019 წლის ფინანსური ანგარიშგების წარდგენა მსს ფასს-ის შესაბამისად ხდება პირველად. წინა პერიოდებში ფინანსური ანგარიშგება საერთოდ არ ყოფილა წარდგენილი;

2.2. საზოგადოების საოპერაციო და საანგარიშგებო ვალუტას წარმოადგენს ეროვნული ვალუტა - ლარი;

2.3. მსს ფასს-ის 35-ე განყოფილების თანახმად 2015 წლის მაისში გამოცემული დოკუმენტის - „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესწორებები (მსს ფასს)“ - შედეგად ცვლილებები შევიდა მსს ფასს-ის რიგ მუხლებში, რომელთა გამოყენება სავალდებულოა 2017 წლის 01 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის;

- 2.4. საწარმო წინა პერიოდებში იყენებდა ბუღალტრული აღრიცხვის ტრადიციულ მეთოდებს და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, მსს ფასს-ის მიხედვით ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების სისტემაზე გადავიდა 2018 წლის 01 იანვრიდან;
- 2.5. სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელსაც ორგანიზაცია იყენებს მსს ფასს-ზე გადასვლის შემდეგ ორგანიზაციის პირობებში არსებითად არ განსხვავდება იმ სააღრიცხვო პოლიტიკისგან, რომელიც გამოყენებული იყო წინა საანგარიშგებო პერიოდებში. აღნიშნულის გათვალისწინებით ამ სტანდარტზე გადასვლის თარიღამდე არსებული ოპერაციების, მოვლენებისა და გარემოებების შედეგად შესაბამისი კორექტირებების აუცილებლობა არ წარმოქმნილა;
- 2.6. ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლების მიერ საზოგადოების ფინანსური მდგომარეობისა და მისი საქმიანობის შედეგების ტენდენციების გაანალიზების მიზნით, შესადარისობის პრინციპიდან გამომდინარე მიზანშეწონილად მივიჩნიეთ ფინანსური ანგარიშგების უწყისებში შეგვეტანა წინა საანგარიშგებო პერიოდის 2017 წლის ფინანსური ინფორმაცია, რომელსაც საწარმოთა საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით არსებითი გავლენა არ მოუხდენია ფინანსური ანგარიშგების ფინანსურ და არაფინანსურ მუხლებში შესატან ინფორმაციაზე და შესაბამისად მოგება-ზარალსა და კაპიტალზე;
- 2.7. უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები აისახება ეროვნულ ვალუტაში ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური გაცვლით კურსით, ხოლო ნაშთი საანგარიშგებო წლის ბოლოსათვის - 31 დეკემბერს არსებული კურსით;
- 2.8. სასაქონლო-მატერიალური ფასულობების აღიარება ხდება თვითღირებულების მეთოდით. თვითღირებულების ჩამოწერა ხდება საშუალო შეწონილის მეთოდით;
- 2.9. კომპანია იყენებს ძირითადი საშუალებების აღრიცხვის თვითღირებულების მოდელს და ცვეთის დარიცხვის წრფივ მეთოდს; თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად;
- 2.10. არამატერიალური აქტივი არის კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც ასახულია ნარჩენი ღირებულებით (თვითღირებულებას მინუს დაგროვილი ცვეთა);

- 2.11. ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყონებლის აღიარდება მოგებაში ან ზარალში.
- 2.12. მოთხოვნების მიწოდებიდან და მომსახურებიდან დარიცხვა ხდება ოპერაციის მოხდენისთანავე - საქონლის მიწოდების შემდეგ, დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება; შემოსავლის აღრიცხვა ხდება მაშინ, როცა ეკონომიკური სარგებლის მიღების ალბათობა მაღალია და შესაძლებელია მისი სათანადოდ შეფასება.
- 2.13. სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივ საკრედიტო პირობებით აღიარებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში ასახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში;
- 2.14. ხელფასის დარიცხვა ხდება შრომითი ხელშეკრულების მიხედვით. თანამშრომელს უკავდება საპენსიო გადასახადი (ასაკის მიხედვით) და საშემოსავლო გადასახადი, ხელზე იღებს დარჩენილ თანხას გადასახადების გადახდის შემდეგ;
- 2.15. ბანკის სესხებზე დარიცხული საპროცენტო ხარჯი აღიარდება საბანკო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ცხრილის მიხედვით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგება-ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა;
- 2.16. შემოსავლები და ხარჯები აღირიცხება დარიცხვის მეთოდით. საგადასახდო ვალდებულებების დარიცხვა წარმოებს საგადასახდო ანგარიშგებაში ასახული გადასახდის ოდენობით (შესაბამის დეკლარაციაში ასახული თანხით);
- 2.17. ორგანიზაციის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის მფლობელების გადაწყვეტილების საფუძველზე. პარტნიორებს შეუძლიათ გაზარდონ საზოგადოების კაპიტალის ოდენობა დამატებითი შენატანებით და საზოგადოებაში ახალი პარტნიორის მოღებით. შენატანი საზოგადოების კაპიტალში შეძლება წარმოდგენილი იქნეს, როგორც ფულადი, ისე სხვა მატერიალური და არამატერიალური ქონების სახით.

- 2.18. ჯერ-ჯერობით წმინდა მოგების განაწილება არ მომხდარა, დამფუძნებლები არიან ფიზიკური პირები.
- 2.19. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მაკორექტირებელ მოვლენას ადგილი არ ჰქონია;
- 2.20. საწარმოს მიერ წარმოდგენილი 2019 წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მსს ფასს-ის შესაბამისად;
- 2.21. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება მოიცავს:
- ბალანსს ((შენიშვნებით);
 - ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ანგარიშგებას;
 - საქმიანობის შედეგების შესახებ ანგარიშგებას.

ბალანსზე დართული შენიშვნები:

შენიშვნა 1 - ძირითადი საშუალებები

#	ბალანსი 31 დეკემბერი 2018 წელი	5908259
1	მიწის ნაკვეთები	4126508
2	შენობა-ნაგებობები	1765516
3	მანქანა-დანადგარები	3265
4	ოფისის აღჭურვილობა და ავეჯი	12706
5	არამატერიალური აქტივები	264
#	ნაშთი 31 დეკემბერი 2019 წელი	5913649
1	მიწის ნაკვეთები	4126508
2	შენობა-ნაგებობები	1770226
3	მანქანა-დანადგარები	3265
4	ოფისის აღჭურვილობა და ავეჯი	13386
5	არამატერიალური აქტივები	264

შენიშვნა 2 - სასაქონლო-მატერიალური მარაგები

#	დასახელება	31-12-2019 წელი
1	საქონლო-მატერიალური მარაგი	8994
		8994

შენიშვნა 3 - სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება

#	დასახელება	31-12-2019 წელი
1	მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	58790
2	გადახდილი ავანსები	3615
	სულ სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	62405

შენიშვნა 4 - ფული და ფულადი ექვივალენტები

#	დასახელება	31-12-2019 წელი
1	ნაღდი ფული სალაროში	10736
2	ფული საბანკო ანგარიშზე	55989
	სულ ფული და ფულადი ექვივალენტები	66725

შენიშვნა 5. სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები 2019წ. 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

დასახელება	31.12.2018წ.
საგადასახადო ვალდებულება	12,600.00
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	47,809.00
სულ სავაჭრო ვალდებულებები	60,409

დირექტორი: ი. ლ. ნაძაძე

ბუღალტერი: ქ. ნ. გივარჯიშვილი

	2019	2018
აქტივები		
<i>მიმდინარე აქტივები</i>		
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	66725	45109
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	58790	52,607.00
სასაქონლო-მატერიალური მარაგები		-
გადახდილი ავანსები		
სხვა მიმდინარე აქტივები	3615	297.00
სულ მიმდინარე აქტივები	129,130.00	98,013.00
<i>სასაქონლო-მატერიალური მარაგები</i>		
მასალები	8,994.00	3,000.00
სულ სასაქონლო-მატერიალური მარაგები	8,994.00	3,000.00
<i>გრძელვადიანი აქტივები</i>		
ძირითადი საშუალებები	5913649	5908259
სულ გრძელვადიანი აქტივები	5913649	5908259
სულ აქტივები	6051773	6,009,272.00
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		
სავაჭრო ვალდებულებები	2780	1665
გადასახდელი ხელფასები	0	0
საგადასახადო ვალდებულებები	12600	12792
სასესხო ვალდებულებები		
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	4451	4451
მიღებული ავანსები	5536	3791
სხვა ვალდებულებები	35042	35042
სულ ვალდებულებები	60409	57741
<i>საკუთარი კაპიტალი</i>		
საწესდებო კაპიტალი	123727	123727
სხვა რეზერვები და დაფინანსება	5111310	5111310
გაუნაწილებელი მოგება	756327	716494
სულ საკუთარი კაპიტალი	5991364	5,951,531.00
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი	6051773	6,009,272.00

დირექტორი:


მთ. ბუღალტერი:

სს "ნატერფალი"


2019წწ სრული შემოსავლისა და ხარჯების ანგარიშგება

დასახელება	31.12.2019
შემოსავალი რელიზაციიდან	767,673.00
სხვა საოპერაციო შემოსავალი	2.00
სულ შემოსავალი	767,675.00
საოპერაციო ხარჯები:	
მასალების ხარჯები	15,963.00
შრომის ანაზღაურება	587,641.00
საპენსიო ანარიცხი	3,150.00
კომუნალური ხარჯები	43,636.00
ცვეთა და ამორტიზაცია	23,459.00
საგადასახადო ხარჯი/ქონების გადასახადი	21,339.00
სხვადასხვა მომსახურების ხარჯი	10,750.00
სულ საოპერაციო ხარჯები:	705,938.00
არასაოპერაციო ხარჯები:	
საქველმოქმედო ხარჯი	-
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	24,904.00
სულ არასაოპერაციო ხარჯები:	24,904.00
სულ ხარჯები	730,842.00
საანგარიშო პერიოდის ფინანსური მოგება (ზარალი)	36,833.00

დირექტორი:



მთ. ბუღალტერი:



სს "ნატერფალი"

2019წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლის კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	სხვა რეზერვი და დაფინანსება	საანგარიშო პერიოდის მოგება/ზარალი	სულ
ნაშთი 31 დეკემბერი 2017	123,727.00	5,111,310.00	783,723.00	6,018,760.00
საანგარიშო პერიოდის მოგება/ ზარალი			(67,229.00)	(67,229.00)
ნაშთი 31 დეკემბერი 2018	123,727.00	5,111,310.00	716,494.00	5,951,531.00
2019წ. საანგარიშო პერიოდი				
საანგარიშო პერიოდის მოგება/ ზარალი	-		39,833.00	39,833.00
ნაშთი 31 დეკემბერი 2019	123,727.00	5,111,310.00	756,327.00	5,991,364.00

დირექტორი:

მთ. ბუღალტერი:




ლ.ლაბაძე

ნ.კიკვილაშვილი